



გალთ & თავართი
ვაშენით შესაძლებლობებს

თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება

2025 წლის აპრილის განახლება

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8036

ზუკა თავყელიშვილი

ასოცირებული მკვლევარი | ztavkelishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8973

ოთარ ცუხიშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | otsukhishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 3018

ძირითადი მაჩვენებლები

აპრ-23

აპრ-24

აპრ-25

გაყიდვები

ბინების რაოდენობა

2,589

3,222

3,252

პირველადი

1,120

1,446

1,693

მეორადი

1,469

1,776

1,559

ფასი

\$ / მ²

\$1,120

\$1,278

\$1,332

ქირა

\$ / მ²

\$11.6

\$9.9

\$9.5

ნებართვები

'000 მ²

187.3

195.0

246.0




ბალტ & თაგარტი

ვეწმინთი შემსაძლელთბებს

შენიშვნა: ფასები მოცემულია პირველადი ბაზრის თეთრი კარკასის ბინებისთვის

უძრავი ქონების გაყიდვების მახასიათებლები 2025 წლის აპრილი



მთაწმინდა

გაყიდვების რაოდენობა
57 ბინა
საშუალო ფასი
2,900 \$ / m^2
საშუალო ქირა
12.2 \$ / m^2

ვაკე

გაყიდვების რაოდენობა
100 ბინა
საშუალო ფასი
2,544 \$ / m^2
საშუალო ქირა
14.5 \$ / m^2

ჩუღურეთი

გაყიდვების რაოდენობა
68 ბინა
საშუალო ფასი
1,766 \$ / m^2
საშუალო ქირა
9.3 \$ / m^2

საბურთალო

გაყიდვების რაოდენობა
596 ბინა
საშუალო ფასი
1,558 \$ / m^2
საშუალო ქირა
10.8 \$ / m^2

კრწანისი

გაყიდვების რაოდენობა
205 ბინა
საშუალო ფასი
1,499 \$ / m^2
საშუალო ქირა
9.9 \$ / m^2

ისანი

გაყიდვების რაოდენობა
228 ბინა
საშუალო ფასი
1,393 \$ / m^2
საშუალო ქირა
9.4 \$ / m^2

დიღუბე

გაყიდვების რაოდენობა
233 ბინა
საშუალო ფასი
1,359 \$ / m^2
საშუალო ქირა
9.3 \$ / m^2

ნაძალადევი

გაყიდვების რაოდენობა
272 ბინა
საშუალო ფასი
1,169 \$ / m^2
საშუალო ქირა
8.8 \$ / m^2

სამგორი

გაყიდვების რაოდენობა
450 ბინა
საშუალო ფასი
1,070 \$ / m^2
საშუალო ქირა
7.7 \$ / m^2

დიდი დიღომი

გაყიდვების რაოდენობა
738 ბინა
საშუალო ფასი
1,051 \$ / m^2
საშუალო ქირა
8.1 \$ / m^2

გლდანი

გაყიდვების რაოდენობა
278 ბინა
საშუალო ფასი
1,035 \$ / m^2
საშუალო ქირა
8.1 \$ / m^2

ვაშლიჯვარი

გაყიდვების რაოდენობა
27 ბინა
საშუალო ფასი
1,034 \$ / m^2
საშუალო ქირა
8.5 \$ / m^2



2025 წლის აპრილის მიმოხილვა

შეჯამება

თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნა შენელებული რჩება და 2024 წლის იანვარ-აპრილის გაყიდვებს ჩამორჩება როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზარზე. მიწოდების მხარეს, 2025 წლის 4 თვეში გაცემული ნებართვების მოცულობა გაიზარდა, რაც საცხოვრებელ პროექტებზე გაცემული რამდენიმე დიდი ზომის ნებართვითაა განპირობებული. პირველად ბაზარზე ფასები კვლავ მზარდია, თუმცა ზრდის ტემპი შენელებულია, ხოლო ფასები მეორად ბაზარზე ორი თვის შემცირების შემდეგ გაიზარდა.

მოთხოვნა

2025 წლის აპრილში, საჯარო რეესტრის მონაცემებით, გაყიდული ბინების რაოდენობამ 3,252 შეადგინა, აქედან:

- მეორად ბაზარზე გაყიდვები, რაც დინამიკას რეალურ დროში აჩვენებს, წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა, ხოლო წლიურად 12.2%-ით შემცირდა.
- პირველად ბაზარზე გაყიდვები, რაზეც გავლენას დაგვიანებული რეგისტრაციები ახდენს, წლიურად 17.1%-ით გაიზარდა. აღნიშნული გამოწვეულია რამდენიმე პროექტში წარსულში გაყიდული ბინების დაგვიანებული რეგისტრაციის ერთჯერადი ეფექტით.

ჩვენ მიერ ჩატარებული დეველოპერების გამოკითხვის (რომელიც პირველადი ბაზრის ტენდენციებს რეალურ დროში ასახავს) შედეგებიც მეორადი ბაზრის მსგავსად შენელებას აჩვენებს. 2025 წლის აპრილში გაყიდული ბინების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო წლიურად 34.1%-ით შემცირდა და მეორად ბაზართან შედარებით უფრო მაღალი კლების ტემპი წინა წლის აპრილის მაღალი ბაზით აიხსნება.

2025 წლის 4 თვეში, თბილისში სულ 12,540 ბინა (-1.2% წ/წ) გაიყიდა და ჯამურმა ღირებულებამ 941.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (-0.7% წ/წ).

მიწოდება

2025 წლის აპრილში ნებართვა გაიცა 23 საცხოვრებელ პროექტზე, რომელთა ჯამური საცხოვრებელი ფართი 245,986 მ²-ს შეადგენდა (+26.1% წ/წ). 2025 წლის 4 თვეში გაცემული ნებართვების მოცულობა წლიურად 4.2%-ით გაიზარდა.

ფასები

2025 წლის აპრილში პირველად ბაზარზე კვადრატული მეტრის საშუალო ფასი თვიურად 0.2%-ით გაიზარდა და 1,332 აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, მეორადი ბაზრის ახალ პროექტებში (რაც 2013 წლიდან გაცემული ნებართვებით აშენდა) ფასი გასულ თვესთან შედარებით 1.9%-ით გაიზარდა და \$1,256 შეადგინა.


ქირა

2025 წლის აპრილში, თბილისში საშუალო ზომის ბინის (50-60 კვ.მ.) ქირის ფასი თვეში მცირედით, 0.4%-ით შემცირდა და კვადრატულზე 9.5 აშშ დოლარი შეადგინა.




უძრავი ქონების მოთხოვნა

გრაფიკი 1: თვიურად გაყიდული ბინების რაოდენობა, '000 ერთეული




გრაფიკი 2: ჯამურად გაყიდული ბინების რაოდენობა, '000 ერთეული




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: პირველადი ბაზრის ტრანზაქციების მაჩვენებელი ჩამორჩება რეალურ მონაცემებს; რეალურ დროში მონაცემებს ასახავს გალტ & თაგარტის დეველოპერების გამოკითხვა (დეტალებისთვის იხილეთ შემდეგი გვერდი)

გრაფიკი 3: თვიური ბაზრის ზომა, მლნ აშშ დოლარი



გრაფიკი 4: ჯამური ბაზრის ზომა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: საჯარო რეესტრის მონაცემებში პირველად ბაზარზე დაგვიანებული ტრანზაქციების ეფექტის გამო, პირველადი ბაზრის ზომა დაკორექტირებულია რეალურ დროში ტენდენციებთან შესაბამისად.

პირველადი ბაზარი - დეველოპერსა და ფიზიკურ პირს შორის განხორციელებული ტრანზაქცია

მეორადი ბაზარი - ფიზიკურ პირებს შორის განხორციელებული ტრანზაქცია.

ბინების გაყიდვების სტატისტიკა ეფუძნება საჯარო რეესტრის მონაცემებს, სადაც პირველადი ბაზრის ტრანზაქციები დაგვიანებით აისახება. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ჩვენ სისტემატურად ვატარებთ დეველოპერების გამოკითხვას




გალტ & თაგარტის სისტემური დეველოპერების გამოკითხვა

2025 წლის მაისში, ჩვენ ჩავატარეთ 20 სისტემური დეველოპერის გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა 90-ზე მეტ საცხოვრებელ პროექტს თბილისში (ჯამურად პირველადი ბაზრის დაახლოებით 40%-ს).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით:


- 2025 წლის აპრილში გაყიდვები გასული თვის ნიშნულზე შენარჩუნდა, თუმცა წინა წლის მაღალი ბაზის შედეგად წლიურად გაყიდული ბინების რაოდენობა 34.1%-ით შემცირდა, ხოლო გაყიდული ბინების ფართობი 25.4%-ით. ჯამში, 2025 წლის 4 თვეში გაყიდული ბინების რაოდენობა წლიურად 13.5%-ით შემცირდა. კვლევის მიზები ბაზარზე არსებული გაუარესებული სენტიმენტებია, რაც მყიდველებს მოთხოვნის გადავადებისკენ უბიძგებს.
- პროექტებში, რომლებიც 2025 წელს სრულდება, ბინების 80% უკვე გაყიდულია. ამასთან, გაყიდვების უმეტესი ნაწილი დეველოპერების მიერ შეთავაზებულ შიდა განვადებაზე მოდის.
- აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ისრაელის მოქალაქეების წილი გაყიდვებში და 2025 წლის 4 თვეში ჯამური გაყიდვების 11% შეადგინა. ეს ტენდენცია დიდწილად განპირობებულია თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის საინვესტიციო მიმზიდველობით.

გრაფიკი 5: თვიურად გაყიდული უძრავი ქონების რაოდენობა




წყარო: გალტ & თაგარტის შერჩეული დეველოპერების გამოკითხვა

გრაფიკი 6: ჯამურად გაყიდული უძრავი ქონების რაოდენობა




გრაფიკი 7: საბინაო ფონდის განაწილება დასრულების წლისა და სტატუსის მიხედვით



წყარო: გალტ & თაგარტის შერჩეული დეველოპერების გამოკითხვა
შენიშვნა: ეს გამოთვლები ეყრდნობა გაყიდული ბინების რაოდენობას


გრაფიკი 8: უძრავი ქონების მოქალაქეობის მიხედვით






უძრავი ქონების მიწოდება

გრაფიკი 9: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების ფართობი, '000 მ²



გრაფიკი 10: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობა




წყარო: არქიტექტურის სამსახური, გალტი & თაგარტი

შენიშვნა: 1) მოიცავს საცხოვრებელ და საზაფხულო ფართებს

2) მოიცავს მხოლოდ III და IV კლასის მრავალბინიან/მრავალფუნქციურ შენობებს

გრაფიკი 11: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემულ ნებართვებში საცხოვრებელი ფართობი თვეების მიხედვით, '000 მ²



წყარო: არქიტექტურის სამსახური, გალტი & თაგარტი


შენიშვნა: 1) მოიცავს საცხოვრებელ და საზაფხულო ფართებს

2) მოიცავს მხოლოდ III და IV კლასის მრავალბინიან/მრავალფუნქციურ შენობებს



უძრავი ქონების ფასი და ქირა

გრაფიკი 12: უძრავი ქონების საშუალო შეწონილი ფასები, აშშ დოლარი/მ²




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & ტაგარტი


შენიშვნა: 1) მეორადი ახალი პროექტები მოიცავს შენობებს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა 2013 წლის შემდეგ;

2) მეორადი ძველი პროექტები მოიცავს შენობებს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა 2013 წლამდე

გრაფიკი 13: თვიური ფასების ცვლილება პირველად ბაზარზე, %




გრაფიკი 14: ქირის საშუალო შეწონილი ფასი თბილისში, აშშ დოლარი/მ²



წყარო: ეროვნული ბანკი, გალტ & ტაგარტი

შენიშვნა: ქირები მოცემულია თბილისში ახალაშენებულ 50-60 მ² ბინებზე


გრაფიკი 15: უძრავი ქონების ქირის შემოსავლიანობის და დეპოზიტის განაკვეთები






თბილისის უბნები

გრაფიკი 16: თბილისში გაყიდული ბინების რაოდენობა უბნების მიხედვით



წყარო: საჯარო რეგისტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 17: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების ფართობი უბნების მიხედვით, '000 მ²




წყარო: არქიტექტურის სამსახური, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 1) მოიცავს საცხოვრებელ და საზაფხულო ფართობს

2) მოიცავს მხოლოდ III და IV კლასის მრავალბინიან/მრავალფუნქციურ შენობებს

გრაფიკი 18: უძრავი ქონების ფასები პირველადი ბაზრის თეთრი კარკასის ბინებზე უბნების მიხედვით, აშშ დოლარი/მ²




წყარო: გალტ & თაგარტი

შენიშვნა: მთაწმინდა და ჩუღურეთი არ არის გათვალისწინებული პროექტების მცირე რაოდენობის გამო




უძრავი ქონების მახასიათებლები

გრაფიკი 19: უძრავი ქონების გაყიდვები ზომის მიხედვით (წილი მთლიან გაყიდვებში, %)




წყარო: საჯარო რეგისტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 20: უძრავი ქონების გაყიდვები ფასის სეგმენტის მიხედვით (წილი მთლიან გაყიდვებში, %)



გრაფიკი 21: მშენებლობის ღირებულების ინდექსი, I კვარტალი 2019=100




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

	წ/წ ზრდა მარ-25, აშშ დოლარი	თვე/თვე ზრდა მარ-25, აშშ დოლარი
მშენებლობის ღირებულება	2.5%	3.7%
სამშენებლო მასალები	-0.8%	1.4%
ხელფასები	17.7%	13.3%
ტექნიკა	4.8%	1.7%
ტრანსპორტი, საწვავი და ელექტროენერგია	-4.9%	1.2%
სხვა ხარჯები	-0.1%	2.5%




დანართი

გრაფიკი 22: უძრავი ქონების ფასების დიაპაზონი პირველად ბაზარზე უბნების მიხედვით აპრ-25, აშშ დოლარი/მ²




წყარო: გალტი & თაგარტი

გრაფიკი 23: ქირის საშუალო შენობილი ფასები, აშშ დოლარი/მ²



წყარო: ეროვნული ბანკი, ნუმბეო, გალტი & თაგარტი

გრაფიკი 24: ქირის შემოსავლიანობა ქალაქების მიხედვით, 2025 წლის მარტი





მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული ეურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე ეურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი ეურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტირის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ასოცირებული მკვლევარი
ზუკა თავყელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge